სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსს ქალბატონ თამარ ფირცხალაურს

ქალბატონო თამარ,

თქვენი მიმდინარე წლის 10 აგვისტოს #21/4365 კორესპონდენციის მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით ქალაქ ოზურგეთში, ანასეულის დასახლების ტერიტორიაზე მოცვისა და ტყემლის ბაღების სარწყავი სისტემის წყლით უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებას.

სააგენტოს შენიშვნების გათვალისწინებით შესწორდა განცხადების შესაბამისი პოზიციები. კერძოდ კი:

1. დაზუსტდა წლის განმავლობაში სარწყავად გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა.
2. დადგინდა საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურიდან წვეთოვანი სისტემისათვის წყლის მოსაწოდებელი ტუმბოს GPS კოორდინატები (იხილეთ თანდართული შეიპ-ფაილები).
3. დოკუმენტში აისახა წყლის რეზერვუარის ტიპი, პარამეტრები და განთავსების GPS კოორდინატები (იხილეთ თანდართული შეიპ-ფაილები).
4. დოკუმენტში აისახა წყლის მოსაწოდებელი ტუმბოების განთავსების წერტილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების საკითხი. წყლის ტუმბოების მუშაობის დროს მათ მიერ ხმაურის გავრცელების არეალი არ აღემატება 70 გრ/მ.
5. სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით დოკუმენტში აისახა სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია.

დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. *სკრინინგის ანგარიში.*
2. *მიწის განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
29. 08 2022 წ.
№ 4387

პატივისცემით /ირინე კოსტავა/

26.08.2022 წ.